

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მისამართი:

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. № 75

სხდომის დაწყების დრო: 20:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:

ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ქეთევან ბექაური, იოსებ ბარათაშვილი, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, მალხაზ ჯანგირაშვილი, ნოდარ ფეიქრიშვილი, ცისმარი ონიანი, იმედა დვალიძე.

დღის წესრიგი:

1. ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობების მიმართულებების პროექტების განხილვა;
2. 2010 წლის საგაზაფხულო ტესტირების თარიღის განსაზღვრისა და საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის დამტკიცება;
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მოწვევის და კრების დღის წესრიგის საკითხი;
4. ასოციაციის 2010 წლის ბიუჯეტის განხილვა;
5. 2006 წლიდან 2010 წლამდე ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ტესტირების სერტიფიკატებზე თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის ხელმოწერის დელეგირების საკითხის განხილვა;
6. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა განცხადებების განხილვა და გაწევრიანება;
7. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობების ახალი ნიმუშის მიღების საკითხის განხილვა;
8. საწევროგადაუხდელ პირთა საკითხის განხილვა;
9. სხვა მიმდინარე საკითხები;

წევრების მსჯელობის შედეგად ერთხმად

გ ა დ ა წ ე დ ა :

1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაინიშნოს 23, 24 და 25 ივნისს. რეგისტრაცია დაიწყოს 22 მარტიდან და გაგრძელდეს 23 აპრილამდე. საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის არჩევა და დამტკიცება მოხდეს გასული გამოცდების პერიოდში წარმოდგენილი თავმჯდომარეობის მსურველ კანდიდატთა სიიდან.
2. 2006 წლიდან 2010 წლამდე ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” ტესტირების სერტიფიკატებზე არსებული თავმჯდომარის– ზაზა ხატიაშვილის ხელმოწერის საკითხი ავტომატურად არის დელეგირებული.
3. 33 გასაწევრიანებელი პირიდან, 32 მიღებულ იქნას ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში, ხოლო ერთ კანდიდატის, **დავით კალაიჯიშვილის** დოკუმენტაციის, მათ შორის (ცნობა ნასამართლობის შესახებ) განხილვა მოხდეს შემდგომ სხდომაზე.
4. არ დაკმაყოფილდეს თამარა იასეშვილის განცხადება სპეციალიზაციის შეცვლის შესახებ, ვინაიდან 2008 წლის 1 ოქტომბრის, ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მოსამართლეობის გამოცდა ვიწრო სპეციალიზაციით, ასოციაციაში წევრიანდებიან იმ სპეციალიზაციით, რომლის შესაბამისი სერტიფიკატიც აქვთ აღებული.
5. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება საწევროგადაუხდელ პირთა მიმართ.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე